ადრეული/სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში რეალურ დროში ვიდეომონიტორინგის განხორციელება

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

შენიშვნა: *აღნიშნული დოკუმენტი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და მონაცემთა დამუშავების თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად.*

ადრეული/სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები (ე.წ. საბავშვო ბაღები), თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბავშვისთვის და მისი მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებას. მცირეწლოვანი ბავშვები დღის უმეტეს ნაწილს სწორედ აღნიშნულ დაწესებულებაში ატარებენ. შესაბამისად, საბავშვო ბაღები ***არასრულწლოვნის დაცვის, მისი უსაფრთხოების მიზნებისთვის*** შესაძლოა შიდა და გარე პერიმეტრზე ახორციელებდნენ ვიდეომონიტორინგს, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. აღნიშნულ მიზნებთან ერთად აუცილებელია, რომ ვიდეომონიტორინგის განხორციელება ადეკვატური და პროპორციული საშუალება იყოს, რაც გულისხმობს, რომ აღსაზრდელების დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა *(მაგალითად, ბავშვის მიერ საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის ზიანის მიყენების ფაქტზე დროული რეაგირება)* სხვა საშუალებით ვერ იქნება მიღწეული.

გასათვალისწინებელია, რომ ვიდეომონიტორინგის არეალში **არ უნდა** ექცეოდეს ისეთი სივრცეები, სადაც, ზოგადად, *პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი არსებობს (მაგალითად, ჰიგიენისთვის განკუთვნილი ოთახები)* ან ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს სივრცეები წარმოადგენს სამუშაო სივრცეს საბავშვო ბაღში დასაქმებული პირებისთვის, *მაგალითად, აღმზრდელებისთვის, დამლაგებლებისთვის და სხვა.* როგორც წესი, დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის თუ სივრცის ვიდეომონიტორინგი მხოლოდ **გამონაკლის შემთხვევებშია** დასაშვები. კერძოდ, მონაცემთა ამგვარი დამუშავების კანონით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელი უნდა იყოს ან არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას უკავშირდებოდეს. საბავშვო ბაღების შემთხვევებში, როდესაც ვიდეომონიტორინგის განხორციელება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, შესაძლოა გამართლებული იყოს ზემოთ ნახსენები პირების სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგის განხორციელება. კერძოდ, მათი საქმიანობა თავისთავად მოიაზრებს აღსაზრდელებთან ურთიერთობას, მათზე ზრუნვას, შესაბამისად, არასრულწლოვანთა დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით ვიდეომონიტორინგის განხორციელება შეუძლებელი იქნება თუ ხედვის არეალში არ მოექცევა მათი სამუშაო სივრცე/პროცესი. ამასთან, სავალდებულოა რომ ადრეული/სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებმა დასაქმებული პირები **წერილობით გააფრთხილონ** ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის შესახებ. ამასთან ერთად, დაწესებულება ვალდებულია, თვალსაჩინო ადგილას განათავსოს სათანადო ინფორმაციისა და გამოსახულების შემცველი გამაფრთხილებელი ნიშანი.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, შესაბამისი აპლიკაციის გამოყენებით, დისტანციურად შესაძლებელი გახდა ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობაზე **რეალურ დროში** წვდომის განხორციელება. ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ეს ტექნოლოგიები, შესაძლოა სხვადასხვა საქმიანობის ფარგლებში იქნეს გამოყენებული, მათ შორის, ადრეული/სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ, აღსაზრდელების მშობლებისთვის ვიდეომონიტორინგზე წვდომის უზრუნველყოფისთვის. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ მსგავსი მოწყობილობის გამოყენება, ყოველ შემთხვევაში კანონთან არის შესაბამისობაში.

პირველ რიგში, შესაფასებელია რამდენად აქვს დაწესებულებას რეალურ დროში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის შესაბამისი წვდომის უზრუნველყოფის საფუძველი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ვიდეომონიტორინგის ფარგლებში ექცევა არა მხოლოდ კონკრეტული არასრულწლოვანი, რომლის მშობელსაც აქვს წვდომის ეს შესაძლებლობა, არამედ სხვა მცირეწლოვნებიც. შესაბამისად, აუცილებელია, რომ რეალურ დროში ვიდეომონიტორინგის მსგავსი განხორციელებისას შეფასებული იყოს ამ უფლებამოსილების მინიჭების მიზნები და **თითოეული არასრულწლოვნის მშობლის თანხმობა** არსებობდეს. იმისათვის რომ თანხმობა ნამდვილად იყოს მიჩნეული, იგი უნდა აკმაყოფილებდეს *ნებაყოფლობითობის, კონკრეტულობის, ინფორმირებულობისა და სუბიექტის სურვილის მკაფიო გამოხატულების კრიტერიუმებს.*

აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები. მაგალითად, მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვისაა საჭირო, ასევე უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა სათანადო დაცვა შესაბამისი ტექნიკური/ორგანიზაციული ზომებით. რეალურ დროში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ კონკრეტულ სივრცეებზე უნდა ჰქონდეთ წვდომა. ამასთან, სავალდებულოა, დაწესებულებამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისი ვიდეომონიტორინგის წერილობითი დოკუმენტი შეიმუშაოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია წვდომის უფლების მქონე პირებს (მშობლებს) განემარტოთ **აპლიკაციის გამოყენების წესები და ინსტრუქციები** ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით მოპოვებული *მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.*

რეკომენდაციები:

- საბავშვო ბაღების ადმინისტრაციის მხრიდან მშობლებს უნდა განემარტოთ ვიდეოსათვალთვალო კამერების „აპლიკაციის“ გამოყენების წესები;
- მნიშვნელოვანია მშობლებს მიეცეთ <u>მკაფიო ინსტრუქცია</u> მონაცემთა *უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით,* რაც გულისხმობს რომ დამუშავებაზე პასუხისმგებელმა პირმა მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა, ჩანაწერებში ასახული მონაცემების მშობლების მიერ უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნების, მათი არასასურველი მიზნით გამოყენებისა და გავრცელების პრევენციისათვის;
- მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით, მიზანშეწონილია, საბავშო ბაღების მიერ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ვიდეომონიტორინგის მიმართ გარკვეული ქმედებების განხორციელება ფუნქციურად შეზღუდული ჰქონდეთ (მაგალითად, კონფიგურაციის ცვლილება, ჩანაწერის გადახვევა, ჩამოტვირთვა და ა.შ.). *ამასთან, აღსანიშნავია რომ დაწესებულებების მიერ მიღებული ეს ზომები შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი და სრულად ვერ აღკვეთოს სხვადასხვა პროგრამების გამოყენებით* ***არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების/მშობლების მიერ*** *რეალურ დროში ვიდეომონიტორინგის კადრების ჩამოტვირთვა. შესაბამისად, აუცილებელია უშუალოდ არასრულწლოვანთა წარმომადგენლები* ***დიდი პასუხისმგებლობით*** *მოეკიდონ როგორც საკუთარი შვილების, ისე სხვა მცირეწლოვანთა, აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას.*
- აპლიკაციაში რეალურ დროში ვიდეომონიტორინგზე წვდომის მქონე პირებს ინდივიდუალური **პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი** უნდა გააჩნდეთ, ხოლო მომხმარებლით ყოველი სარგებლობის შემთხვევა კი <u>პროგრამულად აღირიცხებოდეს,</u> რაც ამცირებს ამ სისტემაზე არაავტორიზებული წვდომის რისკებს;
- რადგანაც რეალურ დროში ვიდეომონიტორინგის ხედვის არეალში ექცევა საბავშვო ბაღში **დასაქმებული პირების სამუშაო სივრცე/პროცესი,** ხოლო აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ არა მხოლოდ დაწესებულების შესაბამის თანამშრომლებს, არამედ მესამე პირებსაც, კერძოდ, აღსაზრდელების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, აუცილებელია სათანადო ფორმით მოხდეს ამ პირების ინფორმირება მონაცემთა მიმღებთა თაობაზე. *მაგალითად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.*[1]

[1] Agencia Española de Protección de Datos (AEPD), PS/00120/2020, 29.10.2020, <https://gdprhub.eu/index.php?title=AEPD_(Spain)_-_PS/00120/2020>.

არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს, რადგან აღნიშნული უფლების დარღვევამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბავშვის ფსიქიკას, მის განვითარებას, სოციალურ ურთიერთობებს და მომავალ ცხოვრებას. ბავშვების მონაცემების დამუშავების პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრიათ იმ საჯარო და კერძო დაწესებულებებს, რომლებიც ბავშვების მონაცემებს ამუშავებენ, მაგალითად, აგროვებენ, იყენებენ, ინახავენ, ასაჯაროებენ. ამ პროცესში თითოეულმა პირმა, როგორც დაწესებულებამ, ასევე არასრულწლოვნის მშობელმა ან ნებისმიერმა მესამე პირმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების კანონიერი დამუშავება და ისეთი დარღვევების პრევენცია, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის ღირსების შელახვა, მისი სტიგმატიზაცია, ბულინგი, დისკრიმინაცია ან ნეგატიური გავლენა მის ემოციურ მდგომარეობასა და განვითარებაზე. არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებისას, უნდა გაანალიზდეს, რა რისკები შეიძლება ახლდეს ბავშვის მონაცემთა დამუშავებას და აღნიშნული გათვალისწინებულ იქნეს უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვის პროცესში.

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024

ფეიბ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge
www.pdps.ge

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვარნაძის N7, 0105
ბათუმი, ბაქოს N 48, 6010